# ფინანსების მართვა

- მიზანი:ფინანსების კარგი მართვის» პრინციპების გაგება; ორგანიზაციის საფინანსო საქმიანობაში წარმატების მიღწევის, ეფექტიანი, მოქნილი და ოპერატიული გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების პროცესის ხელშეწყობა

# ამოცანები:

- ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების ზოგადი და კონკრეტული მახასიათებლების განხილვა;
- პირველადი ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების თავისებურებების გაგება;
- დიდი ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების პირველადი ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების აღწერა;
- ფინანსების კარგი მართვის» პრინციპების მნიშვნელობის გაგება; მენეჯერის როლის შეფასება  ფინანსების მართვის თვალსაზრისით;
- ორგანიზაციის ოპერატიული და საფინანსო ანგარიშების გამოყენება;
- ფინანსური კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბება.

# ამ მოდულის დასრულების შემდეგ მონაწილეები უნდა ფლობდნენ:

- დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ფინანსური ოპერაციის შესახებ საფინანსო-სააღრიცხვო დოკუმენტაციის გამოყენების ტექნიკას;
- დაწესებულების საფინანსო-სააღრიცხვო საქმიანობაზე მონიტორინგის ინსტრუმენტების გამოყენებისა და დანერგვის უნარ-ჩვევებს;
- ფინანსების ეფექტური ხარჯვისათვის აუცილებელი ინფორმაციის შეგროვების, დახარისხებისა და რეგულარული ანალიზის ტექნიკას, რათა, საჭიროების შემთხვევაში, დროულად იქნას მომზადებული რეკომენდაციები მდგომარეობის გამოსასწორებლად;
- ორგანიზაციის ოპერატიული და საფინანსო ანგარიშების გამოყენების უნარ-ჩვევებს;
- დაწესებულების მიერ სხვადასხვა სამედიცინო და არასამედიცინო ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე კონტროლის მექანიზმებს;
- ფინანსების მართვისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

## ჯანდაცვის დაფინანსების სისტემა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს:

- თანასწორუფლებიანობა;
- ხელმისაწვდომობა;
- ეფექტიანობა;
- არჩევანის თავისუფლება;
- მაკროეკონომიკური ეფექტურობა;
- პოლიტიკური მხარდაჭერა;
- სისტემის გამჭვირვალობა.

# ჯანდაცვის დაფინანსების სისტემის ფორმები:

- სახელმწიფოებრივი (ანუ საბიუჯეტო)
- სადაზღვევო
- კერძო დაფინანსება
- შერეული სისტემა

# ჯანდაცვის სახელმწიფო ანუ საბიუჯეტო სისტემა

## (ლორდ ბევერიჯის მოდელი)

- ცენტრალიზებული და რეგიონული დაგეგმვა;
- დაფინანსება პირდაპირი დაგეგმვის წესით;
- სისტემის მართვა პროფესიონალ მედიკოსთა მიერ;
- მკურნალობის ხარისხის მართვა და კონტროლი;
- რესურსების ეკონომიური გამოყენება;
- პერსონალის დაბალი ანაზღაურება;
- დაბალი ადმინისტრაციული ხარჯები.

***<u>სადაზღვევო სისტემა</u>***- (ბისმარკისეული მოდელი) არჩევენ ამ სისტემის ორ სახეს:

***სავალდებულო ანუ სახელმწიფო დაზღვევა***

***ნებაყოფლობითი ანუ კერძო დაზღვევა***

## აღნიშნული სისტემის ძირითადი მახასიათებლები:

- დეცენტრალიზებული დაფინანსება;
- დაზღვევის თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა;
- ფუნქციების გამიჯვნა დამფინანსებელ ორგანოსა და სამედიცინო დახმარების მიმწოდებელთა შორის;
- სადაზღვევო ფონდების მიერ დანახარჯების მკაცრი კონტროლი;
- კონკურენციის არსებობა;
- სადაზღვევო ფონდების მიერ სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლი.

# ჯანდაცვის დაფინანსების კერძო სისტემის მახასიათებლები

- პაციენტისათვის მომსახურების ფართო არჩევანი;
- რიგების (მოცდის დრო) არარსებობა;
- გარანტირებული და მაღალი დონის სპეციალიზირებული სამედიცინო დახმარება.

# ეკონომიკური სისტემები:

- გეგმიური ეკონომიკური სისტემა;
- თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური სისტემა;
- შერეული სისტემა

# სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის დაფინანსების ფორმები

- გადახდა შესრულებული სამუშაოს მიხედვით
- გადასახდელი კონკრეტული შემთხვევისათვის
- საწოლდღეებზე გადასახადი
- პრემიული ანაზღაურება
- თანაბარგანაკვეთიანი ანაზღაურება
- სულადობრივი (კაპიტაციური) ანაზღაურება
- ხელფასი
- ბიუჯეტი

# *სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების დაფინანსების ფორმები:*

- ***გადახდა ანაზღაურების ტარიფებით***
  - გადახდა ფასებით
  - გადახდა საკონტრაქტო ფასდაკლებებით
- ***გადახდები დანახარჯების მიხედვით***- რეტროსპექტული ანაზღაურების სისტემა
- ***პროსპექტული ანაზღაურება***
  მკურნალობის ერთი დღე
  ერთი გამოწერილი პაციენტი
  დიაგნოსტიკური შემთხვევა
  სულადობრივი ნორმატივით
- ***დაწესებულების საერთო-ბიუჯეტური ანაზღაურება***

# ბრიტანეთის ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაცია და დაფინანსება:

- *ჯანდაცვის დაფინანსების სახელმწიფოებრივი ხასიათი;*
- *სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის რეგიონალური ბიუჯეტების რეგულირება;*
- *არცთუ ისე მაღალი დანახარჯები ჯანდაცვაზე სხვა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით*-მიუხედავად ამისა, სისტემა ახერხებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მაღალი მაჩვენებლების შენარჩუნებას
- *სამედიცინო კადრების მომზადებისა და გადამზადების მაღალი დონე;*
- *ექიმთა შორის ანაზღაურების დიფერენცირებული სისტემა, დამოკიდებული მოსახლეობის რაოდენობასა და სტრუქტურაზე, სამედიცინო დახმარების სახეზე;*
- *მდგრადი საკანონმდებლო ბაზა.*

## იიზნობრივი დაფინასების ძირითადი მიმართულებები

- პაციენტთა გაგზავნა საავადმყოფოში, გამოკვლევა და მკურნალობა;
- მედიკამენტების გამოწერა;
- შტატის ხარჯები.

## პრაქტიკის შემოსავალი:

- კაპიტაციური ჰონორარები
- ანაზღაურება მომსახურების ცალკეულ პუნქტებში
- მიზნობრივი გადასახადები
- ჯანმრთელობის ხელშემწყობი კლინიკების მოწყობა
- დამატებითი შემოსავლები

# ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორები

- ***საჭიროება-*** (need) ეს არის რაიმეს მიმართ უკმარისობის განცდა. ადამიანების საჭიროებები შეიძლება იყოს მეტად მრავალფეროვანი (ფიზიოლოგიური საჭიროებანი; თვითგადარჩენის საჭიროებები; სოციალური საჭიროებები; პირადი საჭიროებები; და ა.შ.)

- ***მოთხოვნილება-*** (wants) არის სურვილები ანუ საჭიროებების სპეციფიკური ფორმა, რომელიც ინდივიდუალური კულტურული დონითა და პიროვნული თვისებებით არის განსაზღვრული.

- ***მოთხოვნა-*** (demand) მოთხოვნილების ის ნაწილია, რომელიც გამაგრებულია მოსახლეობის მსყიდველობითი უნარით. ანუ მოთხოვნა არის საქონლის ის რაოდენობა, რომელიც მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს განსაზღვრული დროის განმავლობაში სხვადასხვა ფასის პირობებში.

- ***საქონლის ალტერნატიულ შესაძლებლობათა დირებულება*** არის სხვა რომელიმე საქონლის ის რაოდენობა, რომლის შეძენის ან წარმოების საშუალებაც დაიკარგა მოცემული საქონლის შეძენის ან წარმოების შედეგად

# Cost minimization -ხარჯის მინიმალიზაციის ანალიზი

- რესურსები გამოიხატება მონეტარული ფორმით
- ითვლება, რომ სარგებელიგამოსავლები იდენტურია და მათი შედარება არ ხდება

დადებითი მხარეები:

- მარტივი და იაფია
- გასაგებად იოლი

ნაკლი

- გამოსავლების გაიგივება არარეალურია

- ***Cost effectiveness - ხარჯთ-ეფექტურობის ანალიზი*** ხარჯები გამოხატულია მონეტარული ფორმით გამოსავლები იზომება ფიზიკალური ერთეულებით: შენარჩუნებული სიცოცხლის წლები, უუნარობის პერიოდის შემოკლება, არტერიული წნევის დონის დაქვეითება და ა.შ.

## *Cost benefit -ღირებულება-სარფიანობის ანალიზი*

ჯანდაცვითი პროექტის განხორციელების ალტერნატივების შეფასების ეკონომიკური მეთოდი, რომელიც მდგომარეობს საქმიანობის ღირებულებისა და მოსალოდნელი სარგებლის შედარებაში ფულად ერთეულში გაზომვით.

**Cost-Utility**_ღირებულება-უტილიზაციის ანალიზი. ეკონომიკური შეფასების ანალიზი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ჯანდაცვის პროექტის ფულად ღირებულებას და შედეგების ქმედითობას, ცხოვრების ხარისხსა და სხვა ინდიკატორებზე მათი დადებითი ზეგავლენის თვალსაზრისით

ხარჯები იზომება მონეტარული ფორმით

გამოსავლები - **QALY**-ით

# საფინანსო-სააღრიცხვო სისტემები

- ***ფინანსური ბუღალტერია-***

  (Financial Accounting)

- ***მმართველობითი ბუღალტერია*** **-**
  (Managerial Accounting)

# მმართველობითი აღრიცხვა საჭიროა:

- ფასწარმოქმნისათვის;
- ინსტიტუციონალური ეფექტურობის შესაფასებლად:
- დაგეგმვისათვის:
- კონტროლისათვის:
- ანგარიშგებისათვის (Reporting)

## მმართველობითი აღრიცხვის ალტერნატიული სისტემები:

- აღრიცხვა ქვედანაყოფების მიხედვით
- აღრიცხვა საქმიანობის შედეგების მიხედვით
  - პროცესუალური აღრიცხვა;
  - დანახარჯების მიკროაღრიცხვა;
  - აღრიცხვა პირობითი სტანდარტების გამოყენებით
  - აღრიცხვა არაპირდაპირი ხარჯების ნორმატივების გამოყენებით.

| ბუღალტრული აღრიცხვა | მმართველობითი აღრიცხვა |
| --- | --- |
| სარეგისტრაციო | ანალიტიკური |
| გამოიყენება გარე მომხმარებლისათვის | ემსახურება ორგანიზაციის შიგნით დასმულ ამოცანებს |
| ასახავს წარსულს | აფასებს იმას, თუ რა შეიძლება მოხდეს მომავალში |
| ფორმა განისაზღვრება ნორმატივებითა და შემმოწმებელი ორგანოების დებულებებით | ფორმა განისაზღვრება ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მოთხოვნებით |
| მონაცემების წარმოდგენა ხდება სტანდარტული ფორმატით | მონაცემები წარდგინდება არასტანდარტული ფორმატით, მარტივად აღსაქმელი ფორმით |
| წარმოადგენს განზოგადოებულ, საბოლოო მონაცემებს | მოითხოვს უფრო დეტალურ, საფინანსო ინფორმაციას |

# სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი

- შემოსავლები და ხარჯები დაიგეგმოს და აღირიცხოს დარიცხვის მეთოდით;
- შეფასდეს საწარმოს აქტივები რეალური საბაზრო ღირებულებით;
- განისაზღვროს პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები;
- დაიგეგმოს და განისაზღვროს ფულადი სახსრების მოძრაობა;
- განისაზღვროს საწარმოს (ქვედანაყოფის) რენტაბელობა

# ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპები

- გასული ფინანსური წლის საანგარიშო მონაცემების ანალიზი;
- მიმდინარე წლის ღონისძიებათა მოსალოდნელი შესრულების შეფასება;
- საბიუჯეტო პროექტის შედგენა დასაგეგმი ფინანსური წლისათვის.

# ბიუჯეტის შედგენის უპირატესობები:

*გლობალურობა.*

- კარგი მენეჯერისათვის საფინანსო გეგმა წარმოადგენს <u>*დაბალანსების შემოწმების ძირითად ინსტრუმენტს*</u>,
- <u>*მოქმედებათა გეგმა*</u>,.
- საფინანსო გეგმა-ბიუჯეტი გულისხმობს, აგრეთვე, მოქმედებათა <u>*შეფასების სისტემის დანერგვას*</u>;.
- <u>*ხელს უწყობს კოორდინაციისა და კომუნიკაციის დონის ამაღლებას.*</u>
- ბიუჯეტი მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, რომელსაც ეყრდნობა ფინანსების სწორ მართვას და ძლიერ ხელმძღვანელობას.

# ბიუჯეტის ტიპები

- კაპიტალდაბანდების ბიუჯეტი
- წარმოების ბიუჯეტი
- საფინანსო ბიუჯეტი

# ფინანსების მენეჯერის ძირითადი ფუნქციები:

- *კაპიტალდაბანდებათა (ეკონომიკური რესურსების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ძირითადი საშუალებების კვლავწარმოებისაკენ) მართვა;*
- *დაფინანსება-დაწესებულების* ეკონომიკური საქმიანობის სახეობების უზრუნველყოფა აუცილებელი ფინანსური რესურსებით;
- *აქტივების (დაწესებულების კუთვნილი ქონებისა და ფულადი სახსრების) მართვა.*

## ყველა მმართველობითი გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს *ფულის დროებით ღირებულებას*. მენეჯერებს უნდა განსაზღვრონ:

- ფულის მსყიდველობითი უნარი;
- ფულის მიმდინარე და მომავალი ღირებულება
- რთული საბანკო პროცენტებისა და დისკონტირების გამოთვლა სხვადასხვა ხანგრძლივობისა და საბანკო პროცენტის სიდიდეების მიხედვით

- <u>ოპერატიული *ანგარიში*</u> შეჯამებულია კომპანიის საქმიანი ოპერაციები კონკრეტული პერიოდისათვის. ეს სექცია მოიცავს მიღებულ გადაწყვეტილებათა ჩამონათვალს:
- *წარმოების ანგარიში-რაც გულისხმობს მიღებული პროდუქციისმომსახურების რაოდენობას;*
- *ინვესტიციების* ანგარიში

# ინვესტიციების ანგარიში:

- დაწესებულების ზომა, გამოხატული თანხითა და სიმძლავრით;
- წმინდა ინვესტიციები, რაც მოიცავს ამორტიზაციისათვის საჭირო თანხებს გარდა დაბანდებულ თანხებსა და სიმძლავრეებს;
- დაწესებულების ზომა მომდევნო პერიოდისათვის, გამოხატული ინვესტირებული ფულადი ერთეულებითა და საწარმოო სიმძლავრის ერთეულებით

# მარკეტინგის ანგარიში, რასაც აფასებს:

- მიღებული შეკვეთები;
- გაყიდვები;
- შეუსრულებელი შეკვეთები,;
- ფასიგაყიდულ ერთეულზე;
- მთლიანი ღირებულება გაყიდულ ერთეულზე;
- მთლიანი მოგება გაყიდულ ერთეულზე.

## *მარკეტინგი-* ეს არის ორგანიზაციის მოღვაწეობა, რომელიც დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების ნაკადის მწარმოებლიდან მომხმარებლამდე დაყვანასთან

- სამეწარმეო საქმიანობის წარმატების, შემოსავლების მიღებისა და ზრდის საფუძველია *ბაზრის ღრმა და ყოველმხრივი ცოდნა*, რაც მარკეტინგის ძირითადი ფუნქციაა.

# მარკეტინგის მახასიათებლებია:

- ორიენტაცია კონკრეტული მიზნების მიღწევაზე;
- პროდუქციის აღწარმოებითი ციკლის შექმნა;
- გაყიდვა და გაყიდვის შემდგომი მომსახურება;
- ორიენტაცია საბაზრო კრიტერიუმსა და განვითარების სტრატეგიულ, პერსპექტიულ ამოცანებზე;
- ორგანიზაციის სასიცოცხლო ციკლის გახანგრძლივებისათვის ნორმალური პირობების სექმნა;
- ახალ ბაზრებზე გასვლა;
- ახალი სახეობის პროდუქციის ათვისება და სხვ.;
- განვითარების ვარიანტების, მათ განხორციელებაზე შესაძლო დანახარჯებისა და დაგეგმილი შედეგების წინასწრები შედარება და ოპტიმალური ფასების შერჩევა.

## *სოციალური მარკეტინგი* ემყარება იმ კონცეფციებსა და სტრატეგიებს, რომლებიც გამოიყენება არაკომერციული მიზნებისათვის

მისი ძირითადი ელემენტებია:

- პროდუქცია;
- ფასების განაწილება;
- კომუნიკაცია.

- სოციალური მარკეტინგის მიზანი:

  ***იდეების ბაზარზე სპეციფიკური საშუალებებით ზემოქმედება.***

# ფინანსური ანგარიშები:

- მოგება-ზარალის ანგარიში
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
- ბალანსი

# ერთეულის ფასის დადგენა

- ფასის დადგენისას აუცილებელია მოთხოვნისა და მიწოდების შესაბამისობაში მოყვანა;
- ფასი, აგრეთვე, მოგების განსაზღვრის მნიშვნელოვანი ფაქტორია;
- ფასი, როგორც წესი, უნდა იყოს გაწეულ ხარჯებზე მეტი, რათა შესაძლებელი იყოს საქმიანობის გაფართოება, აღჭურვილობის გამოცვლა, შენობისა და მანქანა-დანადგარების შეკეთება; ხარჯები განუხრელად იზრდება ინფლაციისა და ახალი ტექნოლოგიების გამოჩენის გამო;

# ფასების შემუშავებისას ხდება:

- საქონლის თავდაპირველი ფასის განსაზღვრა;
- ფასების ადაპტირება დროსა და სივრცეში, რათა ისინი შესაბამისობაში იქნენ მოყვანილი ბაზრის სხვადასხვა მოთხოვნებთან;
- განსაზღვრა იმისა, თუ როდის შეიცვალოს ფასი და როგორი რეაგირება უნდა მოხდეს კონკურენტების მიერ ფასების ცვლილებისას.

# საქონელზე ფასის დადების ეტაპები:

- ფასწარმოქმნის მიზნის დასახვა;
- მოთხოვნის განსაზღვრა;
- დანახარჯების შეფასება;
- კონკურენტების საქონლის ხარისხისა და ფასის ანალიზი;
- ფასწარმოქმნის მეთოდის შერჩევა;
- საბოლოო ფასის შერჩევა.

# პროდუქციის წარმოების დანახარჯები

- მუდმივია ანუ ფიქსირებული დანახარჯები (fixed costs),
- ცვლადი ხარჯი (variable costs)
- ნახევრადცვლადია ხარჯები.
- საფეხურებრივი ტიპის
- ჯამური ხარჯები (total costs)

# ფასების ფორმირებისას აუცილებელია კომპანიას გააჩნდეს კონკრეტული, ცალსახა და მიღწევადი მიზნები, რაც ძირითადა მოიცავს:

- სრულად მიიღოს წინასწარ დაგეგმილი მოგება;
- გაიზარდოს გაყიდვების მოცულობა;
- დაიპყრონ ბაზრის დიდი ნაწილი;
- მიიღონ მაღალი მოგება კონკრეტული საქონლის რეალიზაციიდან;
- დააზუსტონ კონკურენტები;
- შეუქმნან საქონელს გარკვეული იმიჯი;
- შეასრულონ გარკვეული სოციალური და ეთიკური ამოცანები.

## თვითღირებულება, წარმოების მოცულობასა და მოგებას შორის ურთიერთკავშირის ანალიზის მეთოდი

- ჯამური შემოსავლებისა და ხარჯების ფუნქციები ხაზოვანია;
- სარეალიზაციო ფასი მუდმივია;
- ყველა ხარჯები შეიძლება დაყოფილ იქნან ფიქსირებულ და ცვლად ხარჯებად;
- ჯამური ფიქსირებული ხარჯები ცვლება უცვლელი;
- ჯამური ცვლადი ხარჯები პირდაპირპროპორციულია წარმოების მოცულობისა;
- წარმოებისათვის აუცილებელი ნედლეულის ფასები უცვლელია;
- წარმოების ეფექტურობა და პროდუქტიულობა უცვლელია;
- ანალიზი ეხება ერთი დასახელების პროდუქტის გამოშვებას ან ითვლება, რომ პროდუქციის ნომენკლატურა უცვლელია;
- წარმოების მოცულობის ცვლილება მხოლოდ ხარჯებს ცვლის;
- გამოშვებული პროდუქცია მთლიანად იყიდება.

# კონტროლის სისტემის პასუხისმგებლობების ცენტრები:

- ხარჯებზე;
- შემოსავლებზე;
- მოგებაზე;
- ინვესტიციებზე.